[თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” შეხვედრა]

მოსკოვი. 26 ივნისი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

დიდი ინტერესი გამოიწვია “ა” კლასის გათამაშების ლიდერების, თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” შეხვედრამ. “დინამოს” ცენტრალური სტადიონი ვერ იტევდა მაყურებლებს.

თამაში დაიწყო სპარტაკელთა გააზრებული, ენერგიული იერიშებით. მე–11 წუთზე დემენტიევმა მიიღო გადაცემა ნეტოსაგან, ერთი ერთზე გავიდა მეკარე მარღანიასთან და გახსნა ანგარიში.

“სპარტაკი” ამ დღეს თამაშობდა კოლექტიურად, დიდი მონდომებით და თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ხელთ ეპყრა უპირატესობა. თბილისელები კი მოქმედებდნენ სუსტად, დაბნეულად. მხოლოდ ორი მოთამაშე – მარღანია და ანთაძე იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

27–ე წუთზე ილინმა მოატყუა ელოშვილი და ახლო მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა. ოთხი წუთის შემდეგ სიმონიანმა ანგარიში სამამდე გაზარდა. ხოლო ტაიმის დასასრულს მოსკოველთა მეკარის პირაევის შეცდომის შედეგად ანგარიში გახდა 3:1. მეორე ტაიმში უპირატესობა კვლავ მოსკოველთა მხარეს იყო. რამდენიმე თითქმის უიმედო ბურთი აიღო მარღანიამ, ხოლო ანთაძემ ორჯერ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. მოსკოველთა მრავალი შეტევიდან კიდევ ერთი დამთავრდა წარმატებით (ბურთი გაიტანა პარამონოვმა) და მოსკოვის “სპარტაკი” მოედნიდან წავიდა გამარჯვებული – 4:1.

“ლელო”, 28 ივნისი, 1953 წ.